სსიპ ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო

24 / აგვისტო / 2023 წ.

KA020160129669923

№ **63-ს**

ბრძანება

ანგელოზი ინვესტორების ქსელების განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2014 წლის 5 მარტის № 1-1/66 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ანგელოზი ინვესტორების ქსელების განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების შესარჩევი კონკურსი. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ იმ იურიდიულ პირებს, რომლებიც ეწევიან საქართველოში ანგელოზი ინვესტიციების მიმართულების განვითარებას.

2. საკონკურსო აპლიკაციების მიღება განხორციელდეს 2023 წლის 25 აგვისტოდან 4 სექტმებრის ჩათვლით, სააგენტოს ელექტრონული პორტალის grants.gov.ge მეშვეობით.

3. შესარჩევი კომისიის წინაშე აპლიკაციების პრეზეტნაციები განხორციელდეს 2023 წლის 5 სექტემბერიდან 8 სექტემბერის ჩათვლით, ხოლო გამარჯვებულთა გამოვლენა მოხდეს 2023 წლის 12 სექტემბერს.

4. გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით დამტკიცდეს კომისია, შემდეგი შემადგენლობით:

თორნიკე ჯობავა - კომისიის წევრი, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე;
სალომე ნაფეტვარიძე - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ინოვაციების საზოგადოების განვითარების დეპარტამენტის უფროსი;
დავით ჩეჩელაშვილი - კომისიის წევრი, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს აქსელერაციის პროექტის კოორდინატორი (კონსულტანტი);

5. კომისიის მიერ კონკურსის მონაწილეთა შეფასება განხორციელდეს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

კრიტერიუმი	**ქულა**
გუნდი	20
მდგრადობა	15
მთავარი მახასიათებლები	25
თანხის მიზნობრიობა	20
ხედვა და სამომავლო გეგმები	10
აქტივობების ცხრილი	10

6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (მის: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. #1) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: თბილისი. დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, #6

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან დარსალია